



## გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

დამტკიცებულია სსიპ-  
ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის  
სამუსიკო კოლეჯის დირექტორის

ბრძანებით

N1/53, 22.07.2020 წ.

სსიპ. ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის (შემდგომში „კოლეჯი“)  
პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების და წახალისების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 სსიპ – ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების და წახალისების წესი (შემდგომ – წესი) განსაზღვრავს კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებლების მუშაობის შედეგების შეფასებას;

1.2 პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების და წახალისების წესი (შემდგომ – წესი) განსაზღვრავს კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებლების მუშაობის შედეგების შეფასების მიხედვით წახალისების პროცედურებს;

1.3 წესი ვრცელდება კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებზე.

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

2.1. წესში გამოყენებულ ტერმინებს ამ წესის მიზნებისთვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) შეფასება - პროფესიული განათლების მასწავლებლების გაწეული სამუშაოს შეფასება განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად;

ბ) შეფასების კრიტერიუმები - შეფასებისთვის განსაზღვრული საზომი, რომლის მიხედვითაც ხდება მასწავლებლების შეფასება.

გ) წახალისება - ინსტრუმენტი, რომელიც მოტივაციას უმაღლებს მასწავლებლებს იმუშაონ თვითგანვითარების, კოლეჯის და პროფესიული განათლების სასარგებლოდ.

დ) წახალისების ფორმები - წახალისების ფორმა შესაძლოა იყოს როგორც მატერიალური ისე არამატერიალური.

### მუხლი 3. კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროფესიული განათლების მასწავლებელი:

3.1 თვითგანვითარების აქტივობებში ჩართვის მაღალი მოტივაცია/კარიერულ ზრდაზე ორიენტირება:

ა) პროფესიული განვითარების ტრენინგ-კურსებში მონაწილეობა;

ბ) კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო აქტივობებში ვორქშოპებში /სემინარებში ჩართვა. **3.2 კომპეტენციის ფარგლებში მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა.**

ა) პროფესიული სტუდენტების დასწრების მაღალი მაჩვენებელი;

ბ) პროფესიული სტუდენტების საუკეთესო შედეგების მიღწევის მტკიცებულება;

გ) სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიის/ ტექნიკის წარმატებული გამოყენება;

დ) პროფესიული სტუდენტების კოლეჯის აქტივობებში ჩართვის, გენდერული და სოციალური ინტეგრაციის წახალისება .

### **3.3. კოლეჯის განვითარებისთვის შეტანილი წვლილი.**

ა) ინოვაციური იდეების დანერგვისა და რეკომენდაციების ხელშეწყობა;

ბ) კოლეჯებისთვის ცოდნის და გამოცდილების გაზიარება;

გ) კოლეჯის სახელით პროფესიული წარმატების მიღწევა/დაჯილდოვება.

### **მუხლი 4. პროფესიული განათლების მასწავლებლის წახალისების ფორმები**

ა) მაძღობის გამოცხადება;

ბ) ფულადი ჯილდო;

გ) კოლეჯის სახელით მნიშვნელოვან პროფესიულ ჯილდოზე კანდიდატად წარდგენა.

### **მუხლი 5. პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების წესი**

5.1 პროფესიული განათლების მასწავლებლები შეფასდებიან წინამდებარე წესის მესამე მუხლის შესაბამისად. ( დანართი 1.)

5.2 პროფესიული განათლების მასწავლებლების შეფასება მოხდება, კოლეჯის ადმინისტრაციის წევრების მიერ წინამდებარე წესის მესამე მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტების შესაბამისად. ( დანართი 1.)

5.3 პროფესიული განათლების მასწავლებლის წახალისება მოხდება წელიწადში ერთხელ შეფასების შედეგების გათვალისწინებით.

### **მუხლი 6. პროფესიული განათლების მასწავლებლის წახალისების წესი**

6.1. პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების შედეგების შესაბამისად წახალისება ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) მაძღობის გამოცხადება, როგორც წახალისების ფორმა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით./ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

ბ) ფულადი ჯილდო შეიძლება მიეცეს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელს , საუკეთესო შედეგების შეფასებისას, როგორც წახალისების ფორმა და გამოყენებულ იქნეს

ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, /ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

6.2. შედეგების შეფასებიდან გამომდინარე, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიმართ შესაძლებელია, გამოყენებული იყოს წახალისების ფორმებიდან ერთდროულად რამდენიმე ფორმა.